სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მაია შომშიაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**19**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**19**	**20**
წერის უნარი	**19**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**13**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**
პროფესიული აქტივობა	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**92**	**100**

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი : 09.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის
კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე
კანდიდატის - **მაია შოშიაშვილის** შეფასების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატის - მაია შოშიაშვილის შეფასების დასაბუთების პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

1. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი მაია შოშიაშვილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ამ დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის მახასიათებლებთან მიმართებით, როგორებიც არის: პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია და ფინანსური ვალდებულება.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მაია შოშიაშვილის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან - მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან" - სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; საჯარო სამსახურის ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. მაია შოშიაშვილის დახასიათების მიზნით, მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან მიღებული იქნა შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და კანდიდატის პიროვნული და პროფესიული მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის შემცველი სხვა დოკუმენტები.

ამასთან, კანდიდატ მაია შოშიაშვილის შეფასებისას გათვალისწინებულია მის მიერ შევსებულ განაცხადში მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენის დროს უშუალოდ კანდიდატის მიერ გამოვლენილი თვისებები.

<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u> მახასიათებლით შეფასებისას, ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გავითვალისწინე, რომ გამოკითხული პირები და რეკომენდატორები მაია შოშიაშვილს ახასიათებენ დადებითად, კერძოდ, გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, მაღალ კომპეტენციას, პასუხისმგებლობის მაღალ შეგნებას და სხვა დადებით თვისებებს. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მაია შოშიაშვილს გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების მაღალი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. კანდიდატის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის გამო შედგენილი ქვითარი არ ფიქსირდება.

<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს</u> რაც შეეხება, გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატს აფასებენ, როგორც დამოუკიდებელ, პიროვნულად მტკიცე, შეუვალ პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ კანდიდატი სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს სამართლიანობის პრინციპის სრული დაცვით. რაც შეეხება კანდიდატის პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, შემოწმებით დადგენილია, რომ იგი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლინდა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u> დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მაია შოშიაშვილი თავდაჭერილია და მართავს საკუთარ ემოციებს. კანდიდატის მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის მოტივირებული და კორექტული. ამასთან, კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და სისხლისსამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა. საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით დასტურდება, რომ მაია შოშიაშვილი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა და, ამასთანავე, საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მისი მხარედ მონაწილეობის თაობაზე ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ინფორმაცია არ იძებნება.

<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლის</u> მიხედვით, კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მაია შოშიაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებით.

<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან</u> დაკავშირებით, შესაძლებელია ითქვას, რომ მაია შოშიაშვილი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება და

მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და თითოეული მახასიათებლის გაანალიზების შედეგად, ვინაიდან არ გამოიკვეთა გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, ამ კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებლით შემოწმებისას კანდიდატი შეავფასე სრულად დადებითად და მიმაჩნია, რომ მაია შოშიაშვილი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით:

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი წესით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე მაია შოშიაშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული ამ კრიტერიუმის შემდეგი მახასიათებლები: სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის - ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა, პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მის მიერ განხილული, შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 5 საქმის შესწავლით მიღებულ ინფორმაციას და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

<u>**სამართლებრივი ნორმების ცოდნის**</u> მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე შემდეგი გარემოებები:

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2024 წლის 3 დეკემბერს მაია შოშიაშვილთან გაიმართა საჯარო მოსმენა. შეფასების პროცესში შესწავლილი იქნა მაია შოშიაშვილის მიერ განხილული, შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 5 საქმე, კერძოდ, - რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 თებერვლის განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-672-21; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 23 ივნისის განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-517-21; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 აგვისტოს განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-21-22; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-459-21; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 29 დეკემბრის განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-565-21.

კანდიდატის მიერ განხილული საქმეების შესწავლის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ მაია შოშიაშვილი კარგად ფლობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ამასთან, საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა ისაუბრა საკუთარ მოტივაციაზე, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მიღებულ პრატქიკულ გამოცდილებაზე.

<u>**კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნართან და კომპეტენციასთან**</u> დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მაია შოშიაშვილს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის ოცდახუთწლიანი გამოცდილება. მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებული და დასაბუთებულია. გასაუბრების პროცესში გაირკვა, რომ კანდიდატის მოსაზრებები, განსაკუთრებით სამართლის პრაქტიკული და თეორიული საკითხების გარშემო, არის არგუმენტირებული და თანმიმდევრული.

<u>**წერის უნართან**</u> დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მაია შოშიაშვილი გამოირჩევა სათანადო წერის უნარით. კერძოდ, მის მიერ გამოტანილ განაჩენებში კანდიდატი კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ განაჩენის დასაბუთებისას კანდიდატი იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას.

<u>**ზეპირი კომუნიკაციის უნართან**</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მაია შოშიაშვილი გამოირჩევა გამართული მეტყველების უნარითა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის თვისებით. კანდიდატმა საჯარო მოსმენაზე თანმიმდევრულად და გასაგებად გადმოსცა საკუთარი აზრი.

<u>**პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით**</u> შეიძლება ითქვას, რომ მაია შოშიაშვილი მიზანდასახული, პრინციპული, საქმისადმი ერთგული, ემოციურად გაწონასწორებული, კეთილსინდისიერი, თავშეკავებული პიროვნებაა. აღსანიშნავია, საქმეთა განხილვის თაობაზე მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის თანახმად, კანდიდატს საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 100% შემთხვევაში. ასევე, საქმეთა 100% შემთხვევაში დაცულია გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები. მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამარილოში გასაჩივრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 95,6% შემთხვევაში. კანდიდატს საანგარიშო პერიოდში (993 დღეში) დასრულებული აქვს 3854 საქმე (დღეში საშუალოდ 3,9 საქმე), რაც ძალიან კარგი შედეგია.

კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია.

შესაბამისად მიმაჩნია, რომ მაია შოშიაშვილი სამოსამართლო უფლებამოსილებას ასრულებს წარმატებით და კეთილსინდისიერად.

<u>**აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით**</u> კანდიდატის დახასიათებისას გასათვალისწინებელია, რომ მაია შოშიაშვილს აქვს თვითგანვითარე-

ბის, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, მიღებულ ცოდნას კი წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. მას ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით. მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში. ამასთან, კანდიდატი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

<u>პროფესიული აქტივობის</u> შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მაია შოშიაშვილი აქტიურად მონაწილეობდა მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

მაია შოშიაშვილმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში: 2022 წლის 29 აპრილი - 1 მაისი, ბორჯომი, სემინარი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო"; 2022 წლის 16-17 ივლისი, ბორჯომი, საპილოტე სემინარი - „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა"; 2022 წლის 28-30 ოქტომბერი, ლოპოტა, სემინარი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები და მნიშვნელოვანი განმარტებები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე"; 2024 წლის 11-18 თებერვალი, ქ. ბუდაპეშტი (უნგრეთი), ტრენინგი „ციფრული სახის მტკიცებულებები მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის" და სხვა. ამასთან, კანდი-დატი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

ამდენად, **კომპეტენტურობის კრიტერიუმის** თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მაია შოშიაშვილის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 92 ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი : 09.12.2024